

<p>სსიპ - საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი, თბილისი, ა. პოლიტოვსკაიას 1</p>	<p>სს-01 სსიპ „საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის“ უძრავი ნივთის საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი სამუშაოების შესრულებაზე უფლებამოსილ პირთა სერტიფიკაციის სქემა</p>	<p>გვერდების რაოდენობა: 22  ბრძანება: 28 მაისი 2024 წლის N87/ს  გადახედვა: 1  რედაქცია: 1</p>
--	--	---

**სსიპ „საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის“ უძრავი ნივთის საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი სამუშაოების შესრულებაზე უფლებამოსილ პირთა სერტიფიკაციის სქემა**

სერტიფიკაციის ორგანოს - საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - „საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის“ (შემდგომში სასწავლო ცენტრი) ტესტირების კოორდინაციისა და სერტიფიკაციის დეპარტამენტის მიერ უძრავი ნივთის საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი სამუშაოების შესრულებაზე უფლებამოსილი პირის სერტიფიკაცია ხორციელდება ამ სერტიფიკაციის სქემის მიხედვით.

**I. ზოგადი დებულებები**

უძრავი ნივთის საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი სამუშაოების (ტექსტში შემდგომ - „საკადასტრო სამუშაოები“) შესრულებაზე უფლებამოსილი პირის სერტიფიკაციის სამართლებრივი საფუძველია საქართველოს კანონი „საჯარო რეესტრის შესახებ“, საქართველოს მთავრობის 2016 წლის 8 აგვისტოს N388 დადგენილება „მიწის ნაკვეთის საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი სამუშაოს შესრულებისა და დოკუმენტირების წესისა და საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი სამუშაოს საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევით შესრულებისათვის საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი სამუშაოს შესრულების უფლებამოსილების მქონე პირის სერტიფიკატის მოქმედების შეჩერებისა და გაუქმების წესის დამტკიცების შესახებ“ და სხვა ნორმატიული აქტები.

**2. სერტიფიკაციის სქემის მფლობელი და მისი შინაარსი**

2.1. სერტიფიკაცია ხორციელდება სერტიფიკაციის სქემის მიხედვით. სერტიფიკაციის პროცესის ორგანიზებას და სერტიფიკაციის სქემის სათანადოდ შესრულებას უზრუნველყოფს სასწავლო ცენტრის აკრედიტირებული სერტიფიკაციის ორგანო - ტესტირების კოორდინაციისა და სერტიფიკაციის დეპარტამენტი. დეპარტამენტი უშუალოდ, ახორციელებს სერტიფიკატის მაძიებელი/მფლობელი პირების შეფასებას და იღებს სერტიფიკაციასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებს.

<p>სსიპ - საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი, თბილისი, ა. პოლიტოვსკაიას 1</p>	<p>სს-01 სსიპ „საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის“ უძრავი ნივთის საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი სამუშაოების შესრულებაზე უფლებამოსილ პირთა სერტიფიკაციის სქემა</p>	<p>გვერდების რაოდენობა: 22  ბრძანება: 28 მაისი 2024 წლის N87/ს  გადახედვა: 1  რედაქცია: 1</p>
--	--	---

2.2. სერტიფიკაციის სქემა მოიცავს:

- ა) სერტიფიკატის მისანიჭებლად სერტიფიკატის მამიებელი პირის საკვალიფიკაციო და კომპეტენტურობის მოთხოვნებს; საკვალიფიკაციო და კომპეტენტურობის მოთხოვნებთან პირის შესაბამისობის შეფასების კრიტერიუმებსა და შეფასების მეთოდებს;
- ბ) სერტიფიკატის მქონე პირის მიმართ მოთხოვნებს; მისი საქმიანობის შეფასების კრიტერიუმებსა და შეფასების მეთოდებს;
- გ) რესერტიფიკაციის, სერტიფიკატის შეჩერებისა და გაუქმების.

2.3. სერტიფიკაციის პროცესი მოიცავს:

- ა) სერტიფიკაციისათვის მოსამზადებელ სამუშაოებს - სერტიფიკაციის პროცესის განმსაზღვრელი დოკუმენტების, მათ შორის სერტიფიკაციის სქემის, საკვალიფიკაციო და კომპეტენტურობის მოთხოვნების, სატესტო/საგამაცდო პროგრამის, სერტიფიკაციის კალენდარული გეგმის, სერტიფიკაციის ხარჯთაღრიცხვის ფინანსური გეგმის და სხვა დოკუმენტების მომზადებას, კორექტირებასა და მიღებას;
- ბ) სერტიფიკატის მამიებელი პირების დადგენილ საკვალიფიკაციო და კომპეტენტურობის მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმება-შეფასებას და მათი სერტიფიკაციის შესახებ გადაწყვეტილებების მიღებას- სერტიფიკაციის საგამოცდო სესიის პერიოდში განცხადებების მიღებას, კანდიდატების შერჩევას, კანდიდატების ტესტირებასა და პრაქტიკულ დავალებათა შესრულებაში გამოცდას, შეფასებას, შეფასებების თაობაზე კანდიდატების აპელაციებისა და საჩივრების განხილვას, დადებითი შეფასებების მქონე კანდიდატებისთვის სერტიფიკატების მინიჭებას;
- გ) სერტიფიკატის მფლობელი პირების მიმართ წაყენებული მოთხოვნების შესრულების შეფასებას, გადაწყვეტილებების მიღებას სერტიფიკატის შეჩერების, გაუქმების, რესერტიფიკაციის.
- დ) სერტიფიკაციის პროცესის უწყვეტ მონიტორინგს;

3. სერტიფიკაციის ძირითადი პრინციპები

- ა) **კანონიერება** - სერტიფიკაცია ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე და მის შესაბამისად;

<p>სსიპ - საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი, თბილისი, ა. პოლიტოვსკაიას 1</p>	<p>სს-01 სსიპ „საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის“ უძრავი ნივთის საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი სამუშაოების შესრულებაზე უფლებამოსილ პირთა სერტიფიკაციის სქემა</p>	<p>გვერდების რაოდენობა: 22  ბრძანება: 28 მაისი 2024 წლის N87/ს  გადახედვა: 1  რედაქცია: 1</p>
--	--	---

**ბ) ობიექტურობა** - სერტიფიკატის მინიჭების, შეჩერებისა და გაუქმების შესახებ გადაწყვეტილებები მიიღება მხოლოდ ობიექტური, გაზომვადი და დოკუმენტირებული მონაცემების საფუძველზე;

**გ) მიუკერძოებლობა** - სერტიფიკაციის ორგანო სერტიფიკატის მაძიებელ/მფლობელ პირთა მიმართ გადაწყვეტილებების მიღებისას მიუკერძოებელია; გამომცდელი, საგამოცდო კომისია მოქმედებენ მხოლოდ ობიექტურობის საფუძველზე, ინტერესთა კონფლიქტის ყოველი შემთხვევა იდენტიფიცირდება, შეფასებებსა და მიღებულ გადაწყვეტილებებზე შესაძლო ინტერესთა კონფლიქტი ან/დაგარეშე გავლენადაუშვებელია;

**დ) სამართლიანობა** - სერტიფიკაციის პროცესში ყოველი განმცხადებლის, კანდიდატისა და სერტიფიკატის მფლობელი პირის მიმართ უზრუნველყოფილია თანასწორი მოპყრობა, პრივილეგია და დისკრიმინაცია დაუშვებელია, თითოეული კანდიდატისათვის არსებობს წარმატების თანაბარი შესაძლებლობა;

**ე) მართებულობა** - თითოეული შეფასებისას იზომება და დოკუმენტირდება სერტიფიკაციის მოთხოვნებით დადგენილი კვალიფიკაცია და კომპეტენტურობა;

**ვ) საიმედოობა** - განსხვავებული ტესტებისა და საგამოცდო დავალებების შემთხვევებში სხვადასხვა გამომცდელების მიერ უზრუნველყოფილია კომპეტენტურობის დადგენილ მოთხოვნებთან კანდიდატთა შესაბამისობის ადექვატური გაზომვადობა და ზუსტი შეფასება.

## II თავი სერტიფიკაციის პროცედურული წესები

### 1. სერტიფიკაციის პროცესის ორგანიზება, სერტიფიკაციის საგამოცდო სესია და ტესტირების/საგამოცდო ჯგუფი

1.1. სერტიფიკაციის პროცესის ორგანიზებას უზრუნველყოფს ტესტირების კოორდინაციისა და სერტიფიკაციის დეპარტამენტის უფროსი.

1.2. სერტიფიკაციის პროცესთან დაკავშირებულ საორგანიზაციო, საინფორმაციო, საქმისწარმოების, სამართლებრივი, მატერიალურ-ტექნიკური და ფინანსური უზრუნველყოფის ღონისძიებებს ახორციელებს სასწავლო ცენტრის პერსონალი, დადგენილი წესის, პერსონალის სამტატო განრიგისა და სამუშაოთა აღწერილობების შესაბამისად.

### 2. სერტიფიკატის მაძიებელ პირთა განცხადებების მისაღებად გამოსაქვეყნებელი ინფორმაცია

2.1. სერტიფიკაციისათვის განცხადებების მიღება ცხადდება სასწავლო ცენტრის ვებ-გვერდზე და მიმდინარეობს არანაკლებ 10 კალენდარული დღის განმავლობაში.

<p>სსიპ - საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი, თბილისი, ა. პოლიტკოვსკაიას 1</p>	<p>სს-01 სსიპ „საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის“ უძრავი ნივთის საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი სამუშაოების შესრულებაზე უფლებამოსილ პირთა სერტიფიკაციის სქემა</p>	<p>გვერდების რაოდენობა: 22  ბრძანება: 28 მაისი 2024 წლის N87/ს  გადახედვა: 1  რედაქცია: 1</p>
---	--	---

2.2. სერტიფიკაციისათვის განცხადებების მისაღებად ქვეყნდება შემდეგი ინფორმაცია:

- ა) სერტიფიკაციის მაძიებელი პირის საკვალიფიკაციო მოთხოვნები;
- ბ) სერტიფიკაციის მაძიებელი პირის კომპეტენტურობის მოთხოვნები;
- გ) სატესტო/საგამოცდო პროგრამები;
- დ) ტესტებისა და პრაქტიკულ დავალებათა ნიმუშები;
- ე) განცხადებათა მიღების ვადები;
- ვ) განცხადების ფორმა და მასზე დასართავი დოკუმენტების ნუსხა;
- ზ) ტესტირებისა და პრაქტიკულ დავალებათა შესრულებაში გამოცდის ვადები;
- თ) სერტიფიკაციის საფასურის ოდენობა და მისი გადახდის წესები;
- ი) სასწავლო ცენტრის ელექტრონული ფოსტის მისამართი, სადაც იგზავნება განცხადება.

### 3. განცხადებების მიღება და რეგისტრაცია

3.1 მაძიებელი პირის განცხადება სერტიფიკაციის ორგანოს სახელზე და მასზე დართული დოკუმენტები ელექტრონული ფოსტით იგზავნება სასწავლო ცენტრის ელექტრონული ფოსტის მისამართზე - [Certification@tcj.gov.ge](mailto:Certification@tcj.gov.ge)

3.2 განცხადება, თუ იგი აკმაყოფილებს პირობებს რეგისტრირდება შემოტანისთანავე. განცხადების სარეგისტრაციო მონაცემებია: რეგისტრაციის თარიღი და სარეგისტრაციო ნომერი

3.3. განცხადება არ დარეგისტრირდება და განმცხადებელს მიეცემა სამი სამუშაო დღის ვადა ხარვეზის გამოსასწორებლად, თუ განცხადება არ შეესაბამება მოთხოვნებს ან/და წარმოდგენილი არ არის მითითებული განცხადებაზე დასართავი რომელიმე დოკუმენტი. თუ ხარვეზი არ გამოსწორდა სამი სამუშაო დღის ვადაში, განცხადება თავიდან უნდა იქნეს შემოტანილი.

### 4. სერტიფიკაციის მაძიებელი პირის განცხადების ფორმა და განცხადებაზე თანდასართავი დოკუმენტები

<p>სსიპ - საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი, თბილისი, ა. პოლიტოვსკაიას 1</p>	<p>სს-01 სსიპ „საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის“ უძრავი ნივთის საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი სამუშაოების შესრულებაზე უფლებამოსილ პირთა სერტიფიკაციის სქემა</p>	<p>გვერდების რაოდენობა: 22  ბრძანება: 28 მაისი 2024 წლის N87/ს  გადახედვა: 1  რედაქცია: 1</p>
--	--	---

4.1. განცხადებაში მიეთითება განმცხადებლის გვარი, სახელი, პირადი ნომერი და ელექტრონული ფოსტის მისამართი. სერტიფიკაციის მაძიებელი პირის განცხადების ფორმა მოცემულია დანართებში (იხ. დანართი 4).

4.2. სერტიფიკატის მაძიებელი პირის განცხადებას თან უნდა დაერთოს შემდეგი დოკუმენტები:

ა) პირადობის მოწმობის ან პასპორტის ან მართვის მოწმობის ასლი;

ბ) განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

გ) CV;

საკადასტრო სამუშაოების შესრულების არანაკლებ 1 წლიანი გამოცდილების დამადასტურებელი ანგარიში (დანართ 4-ში მოცემული ფორმის შესაბამისად) ან საკადასტრო სამუშაოების შესრულებაზე უფლებამოსილი პირის მოსამზადებელი საკვალიფიკაციო სასწავლო კურსის გავლის დამადასტურებელი დოკუმენტი (მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პირს არ აქვს წარდგენილი შესაბამის სპეციალობაში ბაკალავრის ან უფრო მაღალი აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომი).

## 5. კონსულტაციები სერტიფიკატის მაძიებელ პირებთან. „ღია კარის დღე“ კანდიდატებისათვის

5.1. კანდიდატთა რეგისტრაციამდე სერტიფიკატის მაძიებელ პირებთან სერტიფიკაციის პროცესის შესახებ კონსულტაციები წარმოებს სასწავლო ცენტრის ვებ-გვერდის, ელექტრონული მიმოწერის, შესაბამისი წერილობითი შეკითხვის სასწავლო ცენტრისმისაღებში წარდგენის მეშვეობით. წერილობით შემოტანილ შეკითხვაზე არაუგვიანეს 5 სამუშაო დღის ვადაში პასუხი გაეცემა მითითებულ ელექტრონულ მისამართზე გაგზავნილი ელექტრონული შეტყობინების სახით.

5.2. კანდიდატების რეგისტრაციის დასრულებიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღისა გაიმართება „ღია კარის დღე“ კანდიდატებისათვის, სადაც ამომწურავად იქნება გაშუქებული ტესტირება, პრაქტიკული დავალების შესრულებაში გამოცდა, კანდიდატთა შეფასებასთან, აპალაციებისა და საჩივრების შემოტანასთან დაკავშირებული საკითხები და პასუხი გაეცემა სერტიფიკაციის პროცესის თაობაზე კანდიდატთა შეკითხვებს.

## 6. განმცხადებელთა კვალიფიკაციის დოკუმენტური შემოწმება და კანდიდატების შერჩევა

<p>სსიპ - საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი, თბილისი, ა. პოლიტოვსკაიას 1</p>	<p>სს-01 სსიპ „საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის“ უძრავი ნივთის საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი სამუშაოების შესრულებაზე უფლებამოსილ პირთა სერტიფიკაციის სქემა</p>	<p>გვერდების რაოდენობა: 22  ბრძანება: 28 მაისი 2024 წლის N87/ს  გადახედვა: 1  რედაქცია: 1</p>
--	--	---

6.1. სერტიფიკაციის ორგანო სასწავლო ცენტრის საშტატო პერსონალის მეშვეობით ახორციელებს წარმოდგენილი განცხადებებისა და მათზე თანდართული დოკუმენტების შესაბამისობას დადგენილ მოთხოვნებთან (დოკუმენტური შემოწმება).

6.2. განმცხადებელს განცხადების რეგისტრაციიდან 10 დღის ვადაში მითითებულ ელექტრონულ მისამართზე ეგზავნება წერილობითი შეტყობინება სერტიფიკაციის საფასურის გადახდის შეთავაზებით და გადახდის შემთხვევაში კანდიდატად რეგისტრაციაზე თანხმობის შესახებ, ან თუ დოკუმენტური შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ იგი არ აკმაყოფილებს ამ სქემით განსაზღვრულ მოთხოვნებს, მოტივირებული უარი (უარის თქმის კონკრეტული არგუმენტის მითითებით)კანდიდატად დაშვებაზე.

**7. სერტიფიკაციის საფასური და მისი გადახდის წესი. კანდიდატის რეგისტრაცია**

7.1. სერტიფიკაციის საფასურის შეცვლა ტესტირების/საგამოცდო სესიის მსვლელობის პერიოდში დაუშვებელია.

7.2. სერტიფიკაციის საფასური დადგენილი სრული ოდენობით შეტანილ უნდა იქნეს მითითებულ საბანკო დაწესებულებებში, სასწავლო ცენტრის მიერ მითითებულ საბანკო ანგარიშზე და გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი სასწავლო ცენტრის ელექტრონულ მისამართზე უნდა გაიგზავნოს ან მისაღებში წარდგენილ უნდა იქნეს შესაბამისი შეტყობინების მიღებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში.

7.3. კანდიდატად რეგისტრაცია ხორციელდება სასწავლო ცენტრის ელექტრონულ მისამართზე სერტიფიკაციის საფასურის გადახდის დოკუმენტის ასლის გაგზავნის ან „სასწავლო ცენტრის“ მისაღებში მიღებისთანავე.

**8. ტესტირების და პრაქტიკული გამოცდის პროცედურა**

8.1. ტესტირების პროცედურა განსაზღვრულია სასწავლო ცენტრის მოქმედი „ტესტირების მომსახურების წესით“ (იხ. დანართი 2).

8.2. პრაქტიკული გამოცდაზე კანდიდატი უნდა გამოცხადდეს დანიშნულ დროს, სასწავლო ცენტრის შენობაში. საგამოცდო ჯგუფის ტრანსპორტირებას საველე აზომვითი სამუშაოს შესრულების ადგილზე და უკან უზრუნველყოფს სასწავლო ცენტრი. გამოუცხადებლობა ან დაგვიანება წარმოადგენს სერტიფიკაციის პროცესიდან კანდიდატის მოხსნის საფუძველს.

8.3. პრაქტიკული დავალებით განსაზღვრული საველე აზომვითი სამუშაოები და აზომვითი მონაცემების კამერალური დამუშავება ArcGIS პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებით

<p>სსიპ - საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი, თბილისი, ა. პოლიტოვსკაიას 1</p>	<p>სს-01 სსიპ „საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის“ უძრავი ნივთის საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი სამუშაოების შესრულებაზე უფლებამოსილ პირთა სერტიფიკაციის სქემა</p>	<p>გვერდების რაოდენობა: 22  ბრძანება: 28 მაისი 2024 წლის N87/ს  გადახედვა: 1  რედაქცია: 1</p>
--	--	---

და საკადასტრო ნახაზის გამოხაზვა სასწავლო ცენტრის შენობაში უნდა შესრულდეს ჯამურად 3 ასტრონომიული საათის განმავლობაში.

8.4. პრაქტიკული დავალების შესასრულებლად საჭირო ინვენტარითა და მოწყობილობებით კანდიდატს უზრუნველყოფს სასწავლო ცენტრი. ინვენტარისა და მოწყობილობის ნუსხა, შესაბამისი ტექნიკური მახასიათებლების ჩვენებით მოცემულია დანართებში (იხ. დანართი 5).

8.5. გამოცდის პროცედურის დაცვაზე პასუხისმგებლები არიან ზედამხედველები. თითოეულ საგამოცდო ჯგუფს ემსახურება სულ ცოტა ორი ზედამხედველი მაინც. გამოცდის დასრულებისთანავე დგება გამოცდის ჩატარების ოქმი, რომელსაც ხელს აწერენ გამოცდაზე დამსწრე ზედამხედველები. ოქმში შეიტანება:

- ა) გამოცდის ჩატარების დრო და ადგილი;
- ბ) გამოცდაზე რეგისტრირებული კანდიდატები;

8.6. გამოცდის პროცედურის დაცვაზე პასუხისმგებლები არიან ზედამხედველები.

8.7. პრაქტიკულ გამოცდაზე კანდიდატს უფლება აქვს:

- ა) დასვას შეკითხვა და მიიღოს ინფორმაცია დავალების შინაარსის დასაზუსტებლად ან გამოცდის ორგანიზების კონკრეტული საკითხის თაობაზე;
- ბ) თან იქონიოს სასმელი წყალი;
- გ) თან იქონიოს აზომვების შესრულებისათვის საჭირო საკუთარი მოწყობილობა და ინვენტარი.

8.8. კანდიდატი ვალდებულია:

- ა) გამოცდის დღეს, დროულად რეგისტრაციისთვის გამოცხადდეს სასწავლო ცენტრში, თან უნდა იქონიოს პირადობის მოწმობა;
- ბ) პრაქტიკულ დავალებზე იმუშავოს დამოუკიდებლად;
- გ) დაემორჩილოს ზედამხედველის მითითებებს.

8.9. კანდიდატს ეკრძალება:

- ა) გადალაპარაკება, დახმარების გაწევა სხვა კანდიდატისათვის, ან მისთვის რაიმე ფორმით ხელისშეშლა;

<p>სსიპ - საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი, თბილისი, ა. პოლიტოვსკაიას 1</p>	<p>სს-01 სსიპ „საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის“ უძრავი ნივთის საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი სამუშაოების შესრულებაზე უფლებამოსილ პირთა სერტიფიკაციის სქემა</p>	<p>გვერდების რაოდენობა: 22  ბრძანება: 28 მაისი 2024 წლის N87/ს  გადახედვა: 1  რედაქცია: 1</p>
--	--	---

ბ) გადაწერა სხვა კანდიდატისაგან;

გ) კარნახი სხვა კანდიდატისათვის;

დ) დამხმარე მასალის (სახელმძღვანელოები, ჩანაწერები, სამართლებრივი აქტები) და სხვასაშუალებების გამოყენება;

ე) სამუშაო/საგამოცდო ადგილის უნებართვოდ დატოვება;

ვ) მუშაობის დაწყება შესაბამისი მითითების გარეშე;

ზ) ზედამხედველის მითითებების დაუმორჩილებლობა;

თ) საგამოცდო დროის ამოწურვის შემდეგ დავალებაზე მუშაობის გაგრძელება.

8.10. კანდიდატის მიერ გამოცდის ჩატარების წესების დარღვევის შემთხვევაში, კანდიდატი ზედამხედველისაგან იღებს გაფრთხილებას, რაც ფორმდება შესაბამის ბლანკზე. გაფრთხილების შემდგომ წესების განმეორებით დარღვევის შემთხვევაში კანდიდატი იხსნება გამოცდიდან, რაც ფიქსირდება ზედამხედველის მიერ სპეციალურ ბლანკში და მისი შესრულებული ნაშრომი აღარ ფასდება.

8.11. ნაშრომს იბარებს ერთ-ერთი ზედამხედველი. ნაშრომზე არ მიეთითება კანდიდატის საიდენტიფიკაციო მონაცემები. იდენტიფიცირებისათვის ნაშრომს ენიჭება კოდი, რომელსაც ნაშრომის ჩაბარებისას ავსებს ზედამხედველი. კოდი აღნიშნავს საგამოცდო ჯგუფის ნომერს და ჯგუფის წევრი კანდიდატის საიდენტიფიკაციო ნომერს, რომელიც მას შემთხვევითი შერჩევის პრინციპით მიენიჭება. დაუშვებელია ნაშრომზე კანდიდატის მაიდენტიფიცირებელი რაიმე აღნიშვნის დატანა. ნაშრომის ჩაბარებისას ზედამხედველი ამოწმებს მასში შესაძლო მაიდენტიფიცირებელი აღნიშვნის არსებობას და ასეთის აღმოჩენის შემთხვევაში დაუყოვნებლივ ავსებს ბლანკს პროცედურული დარღვევის შესახებ. ასეთ შემთხვევაში ნაშრომი არ გასწორდება, ხოლო შესაბამისი კანდიდატი მოიხსნება გამოცდიდან.

8.12. კანდიდატის პრაქტიკული დავალების შესრულების საგამოცდო ნაშრომი სწორდება გამოცდის ჩატარებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში, გამომცდელის მიერ შაბლონთან შედარების მეთოდით. ნაშრომი ფასდება გამომცდელის მიერ. საგამოცდო უწყისი უნდა შეივსოს გამოცდის ჩატარებიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღის ვადაში.

8.14. თითოეული ნაშრომი, გამოცდის ჩატარების შესახებ ოქმი და საგამოცდო უწყისი დაცულია და ინახება სასწავლო ცენტრის საინფორმაციო ბაზაში. ნაშრომი შესაძლოა



<p>სსიპ - საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი, თბილისი, ა. პოლიტოვსკაიას 1</p>	<p>სს-01 სსიპ „საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის“ უძრავი ნივთის საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი სამუშაოების შესრულებაზე უფლებამოსილ პირთა სერტიფიკაციის სქემა</p>	<p>გვერდების რაოდენობა: 22  ბრძანება: 28 მაისი 2024 წლის N87/ს  გადახედვა: 1  რედაქცია: 1</p>
--	--	---

გამოთხოვილი იქნას აპელაციისა ან საჩივრის შემთხვევაში საგამოცდო კომისიის, ტესტირების კოორდინაციისა და სერტიფიკაციის დეპარტამენტის უფროსის და/ ან სასამართლოს მიერ.

8.15. გამოცდაზე გამოუცხადებელ ან გამოცდიდან მოხსნილ კანდიდატს აქვს უფლება გაიაროს განმეორებითი გამოცდა.

**9. ტესტირებისა და პრაქტიკულ დავალებათა შესრულებაში გამოცდების ორგანიზება**

9.1. ტესტირება და პრაქტიკულ დავალებათა შესრულებაში გამოცდა ტარდება ტესტირების/საგამოცდო ჯგუფების მიხედვით. თითოეულ ჯგუფში კანდიდატთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 15-ს. ერთ სესიაზე სატესტო/საგამოცდო ჯგუფების რაოდენობა 5-ს არ უნდა აღემატებოდეს. კანდიდატების განაწილება ტესტირების/საგამოცდო ჯგუფებში ხორციელდება რეგისტრაციის რიგითობის მიხედვით.

9.2. თითოეული საგამოცდო სესიას ემსახურება საგამოცდო კომისია სამი გამომცდელის (მათგან ერთ-ერთი წარმოადგენს საგამოცდო კომისიის თავმჯდომარეს) შემადგენლობით და ზედამხედველების ჯგუფი სამი ზედამხედველის შემადგენლობით.

**10. შეფასების შესახებ კანდიდატთა ინფორმირების წესი**

10.1. სასწავლო ცენტრის „ტესტირების მომსახურების წესის“ (იხ. დანართი 2) შესაბამისად ელექტრონული ფორმით ტესტირების დასრულებისას ელექტრონული პროგრამა ავტომატურად ითვლის სწორი და არასწორი პასუხების რაოდენობას. ზედამხედველის მიერ ტესტირების შედეგები შეიტანება ტესტირების უწყისში, რომელიც ივსება ტესტირების დასრულებისთანავე. ტესტირების უწყისში შეიტანება ტესტირების მონაწილე თითოეული რეგისტრირებული კანდიდატის გვარი, სახელი, პირადი ნომერი და ტესტირების ქულა. ტესტირების უწყისის ხელს აწერს ზედამხედველი და საკუთარი გვარის გასწვრივ თითოეული კანდიდატი. ამასთან, ტესტირებაში მონაწილე თითოეულ რეგისტრირებულ კანდიდატს უწყისის შევსების შემდეგ ელექტრონულ მისამართზე ეგზავნება შეტყობინება ტესტირების შედეგების თაობაზე. შეტყობინებაში აღინიშნება მიღებული ქულა, გადალახა თუ არა კანდიდატმა მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, შესაბამისად - მიიღო თუ არა დადებითი შეფასება და დაშვებულია თუ არა იგი პრაქტიკული დავალების შესრულების გამოცდაზე.

10.2. პრაქტიკული დავალების საგამოცდო უწყისის ხელმოწერის შემდეგ, გამოცდაზე რეგისტრირებულ ყოველ კანდიდატს ეგზავნება ელექტრონული შეტყობინება გამოცდაზე მიღებული შეფასების შესახებ.

<p>სსიპ - საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი, თბილისი, ა. პოლიტკოვსკაის 1</p>	<p>სს-01 სსიპ „საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის“ უძრავი ნივთის საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი სამუშაოების შესრულებაზე უფლებამოსილ პირთა სერტიფიკაციის სქემა</p>	<p>გვერდების რაოდენობა: 22  ბრძანება: 28 მაისი 2024 წლის N87/ს  გადახედვა: 1  რედაქცია: 1</p>
--	--	---

## 11. სერტიფიკატის მაძიებელი პირების აპელაციებისა და საჩივრების შეტანისა და განხილვის წესები

11.1. ტესტირებაზე/გამოცდაზე მიღებული შეფასების თაობაზე, თუ კანდიდატს გააჩნია პრეტენზია და არ ეთანხმება მიღებულ შეფასებას, შესაძლებელია წერილობითი აპელაციის წარდგენა შეფასების შესახებ ელექტრონული შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს 2 სამუშაო დღის ვადაში. აპელაცია წარედგინება საგამოცდო კომისიის სახელზე. კანდიდატს უფლება აქვს აპელაციის წარდგენამდე მოითხოვოს მიერ მიერ შესრულებული ტესტის/ნაშრომის გაცნობა უფლებამოსილი პირის თანდასწრებით სასწავლო ცენტრის ოფისში, მისამართზე: ქ. თბილისი, ა. პოლიტკოვსკაის ქ. №1. აპელაციაში მითითებული უნდა იქნას კანდიდატის პრეტენზია (პრეტენზიები) შეფასებასთან დაკავშირებით, ყოველი პრეტენზიის კონკრეტული საფუძველი და მოთხოვნა შეფასების გადასინჯვის თაობაზე.

11.2. კანდიდატის აპელაციას განიხილავს საგამოცდო კომისია და აპელაციას შეტანიდან 5 სამუშაო დღის ვადაში ამზადებს აპელაციაზე წერილობით პასუხს და ელექტრონული შეტყობინების სახით უგზავნის კანდიდატს რეგისტრაციისას მითითებულ ელექტრონულ მისამართზე. საგამოცდო კომისიის მიერ პრეტენზიის განხილვისას დაცულია ორმხრივი ანონიმურობის პრინციპი. აპელაციის თაობაზე საგამოცდო კომისია იღებს ერთ-ერთ შესაძლო დასაბუთებულ გადაწყვეტილებას:

- ა) კანდიდატის აპელაციის სრულად დაკმაყოფილების შესახებ. ამ შემთხვევაში კანდიდატის შეფასება გადასინჯება მისი მოთხოვნის შესაბამისად;
- ბ) კანდიდატის აპელაციის ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ;
- გ) კანდიდატის აპელაციისა და გამოთქმული პრეტენზიების უსაფუძვლობის შესახებ.

11.3. საგამოცდო კომისია აპელაციის შესახებ გადაწყვეტილების დასაბუთებაში ამომწურავად მიუთითებს არგუმენტებს თითოეული პრეტენზიის ცნობისა ან მათი უსაფუძვლობის თაობაზე.

11.4. სერტიფიკატის მაძიებელ პირს უფლება აქვს, იმ შემთხვევაში, თუ მიიჩნევს, რომ მის მიმართ დაირღვა სერტიფიკაციის პირობები და შეილახა მისი უფლებები, სასამართლოში გაასაჩივროს სერტიფიკაციის ორგანოს, საგამოცდო კომისიის, გამომცდელის, ზედამხედველის მოქმედება ან/და გადაწყვეტილება; სასამართლოში გასაჩივრება ხელს არ უშლის პირს, რომ წერილობითი საჩივრით მიმართოს სერტიფიკაციის სამსახურს და საჩივრის შეტანიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღის ვადაში მიიღოს წერილობითი პასუხი;

<p>სსიპ - საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი, თბილისი, ა. პოლიტოვსკაიას 1</p>	<p>სს-01 სსიპ „საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის“ უძრავი ნივთის საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი სამუშაოების შესრულებაზე უფლებამოსილ პირთა სერტიფიკაციის სქემა</p>	<p>გვერდების რაოდენობა: 22  ბრძანება: 28 მაისი 2024 წლის N87/ს  გადახედვა: 1  რედაქცია: 1</p>
--	--	---

11.5 სერტიფიკაციის ორგანოს სახელზე საჩივარი შეიძლება შეტანილი იქნას:

- ა) განმცხადებლის მიერ, კანდიდატად მიღებაზე დასაბუთებული უარის თქმის შესახებ შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღის ვადაში;
- ბ) კანდიდატის მიერ, კანდიდატის აპელაციისა და გამოთქმული პრეტენზიების უსაფუძვლობის შესახებ საგამოცდო კომისიისაგან წერილობითი პასუხის მიღებიდან 2 სამუშაო დღის ვადაში;
- გ) სერტიფიკატის მამიებელი პირის მიერ, თუ იგი მიიჩნევს, რომ მის მიმართ დარღვეულია სერტიფიკაციის წესები, სავარაუდო დარღვევის ფაქტიდან არაუგვიანეს 2 სამუშაო დღის ვადაში;
- დ) სხვა დაინტერესებული პირის მიერ, თუ სერტიფიკაციის პროცესში დარღვეულია მისი კანონიერი უფლებები/ინტერესები, სავარაუდო დარღვევის ფაქტიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის ვადაში.

11.6. სერტიფიკაციის ორგანოს უფროსი შემოტანილ საჩივრებს განიხილავს და საჩივრის შეტანიდან 5 სამუშაო დღის ვადაში გამოაქვს ერთ-ერთი გადაწყვეტილება:

- ა) საჩივრის დაკმაყოფილების შესახებ;
- ბ) საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე;
- გ) საჩივრის ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ.

11.7. განსაკუთრებულ შემთხვევებში, როდესაც შესაძლოა ზიანი მიადგეს სერტიფიკატის მამიებელი პირის ინტერესებს, სერტიფიკაციის ორგანოს უფროსმა საჩივარზე გადაწყვეტილება შეიძლება მიიღოს საჩივრის შეტანიდან 3 სამუშაო დღის ვადაში.

11.8. განსაკუთრებულ შემთხვევებში, თუ საჩივარი შეეხება კანდიდატის აპელაციისა და გამოთქმული პრეტენზიების უსაფუძვლობის შესახებ საგამოცდო კომისიის გადაწყვეტილებას, სერტიფიკაციის ორგანოს უფროსმა საჩივრის გადასაწყვეტად შესაძლოა მოიწვიოს დამოუკიდებელი ექსპერტი და გადაწყვეტილება გამოიტანოს მისი დასკვნის საფუძველზე.

11.9. იმ შემთხვევაში, თუ ტესტირების შედეგებთან დაკავშირებით კანდიდატის საჩივარი დაკმაყოფილდა სერტიფიკაციის ორგანოს უფროსის მიერ და უკვე დასრულებულია მიმდინარე სესიის პერიოდში კანდიდატების პრაქტიკული დავალების შესრულებაში

<p>სსიპ - საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი, თბილისი, ა. პოლიტოვსკაიას 1</p>	<p>სს-01 სსიპ „საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის“ უძრავი ნივთის საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი სამუშაოების შესრულებაზე უფლებამოსილ პირთა სერტიფიკაციის სქემა</p>	<p>გვერდების რაოდენობა: 22  ბრძანება: 28 მაისი 2024 წლის N87/ს  გადახედვა: 1  რედაქცია: 1</p>
--	--	---

გამოცდები, კანდიდატს მიეცემა შესაძლებლობა დამატებითი საფასურის გადახდის გარეშე გამოცდა გაიაროს უახლოეს სესიაზე.

## 12. სერტიფიკატის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესი

12.1. სერტიფიკატის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების საფუძველია კანდიდატის მიერ ტესტირებასა და პრაქტიკული დავალების შესრულებაში გამოცდისას მინიმალური კომპეტენტურობის ზღვარის გადალახვა და შესაბამისად, დადებითი შეფასებების მიღება, თუ არ არსებობს სერტიფიკაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების გამოსატანად შემაფერხებელი გარემოებები. შემაფერხებელ გარემოებებად მიიჩნევა:

ა) მოქმედ კანონმდებლობაში იმგვარი ცვლილებების შეტანა, რაც შეუძლებელს ხდის პირისათვის სერტიფიკატის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღებას;

ბ) ფორს-მაჟორის შემთხვევები, რომლის დროსაც შექმნილია დაუძლეველი გარემოებანი სერტიფიკატის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისათვის.

12.2. კანდიდატისათვის სერტიფიკატის მინიჭების შესახებ სერტიფიკაციის ორგანოს უფროსის მიერ გადაწყვეტილება მიიღება მიმდინარე სესიის დასრულებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში.

## 13 სერტიფიკატის შინაარსი და ფორმა

13. 1. სერტიფიკატი უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს:

ა) სერტიფიკატის გამცემი ორგანოს სრულ დასახელებას;

ბ) უნიკალურ საიდენტიფიკაციო კოდს, რომელიც შედგება ციფრებისა და ლათინური სიმბოლოს კომბინაციისგან (CO1- ).

გ) მითითებას სახელმწიფო სტანდარტზე;

დ) მითითებას სერტიფიკაციის სფეროზე;

ე) სერტიფიკატის მფლობელი პირის სახელსა და გვარს;

ვ) სერტიფიკატის გაცემის თარიღს და მისი მოქმედების ვადას;

ზ) ხელმოწერი პირ(ებ)ის სახელს/გვარს (სრულად) და ხელმოწერას/ხელმოწერებს.

თ) საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის, საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და სსიპ “კრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრის” ლოგოებს.

<p>სსიპ - საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი, თბილისი, ა. პოლიტოვსკაიას 1</p>	<p>სს-01 სსიპ „საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის“ უძრავი ნივთის საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი სამუშაოების შესრულებაზე უფლებამოსილ პირთა სერტიფიკაციის სქემა</p>	<p>გვერდების რაოდენობა: 22  ბრძანება: 28 მაისი 2024 წლის N87/ს  გადახედვა: 1  რედაქცია: 1</p>
--	--	---

13.2. საკადასტრო სამუშაოების შესრულებაზე უფლებამოსილი პირის სერტიფიკატის ფორმა მოცემულია დანართებში (იხ. დანართი 6).

13.3. საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის ლოგო წარმოადგენს საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის საქპატენტის მიერ დამოწმებულ სასაქონლო ნიშანს (სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის თარიღი 05.06.2017, მოწმობის ნომერი M 28585) და საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის ნებართვის გარეშე ან/და მისი არამიზნობრივი გამოყენება დაუშვებელია.

**14. სერტიფიკატის შეჩერების და გაუქმების შესახებ გადაწყვეტილებების მიღების წესები**

14.1. საკადასტრო სამუშაოების შესრულებაზე უფლებამოსილი პირის სერტიფიკატის შეჩერების და გაუქმების საფუძვლები და წესები განისაზღვრება საქართველოს მთავრობის 2016 წლის 8 აგვისტოს N388 დადგენილებით „მიწის ნაკვეთის საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი სამუშაოს შესრულებისა და დოკუმენტირების წესისა და საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი სამუშაოს საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევით შესრულებისათვის საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი სამუშაოს შესრულების უფლებამოსილების მქონე პირის სერტიფიკატის მოქმედების შეჩერებისა და გაუქმების წესის დამტკიცების შესახებ“.

14.2. სერტიფიკაციის ორგანოს უფროსის მიერ სერტიფიკატის შეჩერების/გაუქმების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება შესაბამისი საფუძვლის წარმოშობის თაობაზე აკრედიტაციის ორგანოდან შეტყობინების მიღებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში.

**15. სერტიფიკაციის პროცესის დოკუმენტირება. სერტიფიკაციის მამიებელი პირის/სერტიფიკატის მფლობელი პირის პირადი საქმე. სერტიფიკაციის პროცესთან დაკავშირებული მონაცემების შენახვა და დაცვა**

15.1. სერტიფიკაციის პროცესთან დაკავშირებული ყველა პროცედურული გადაწყვეტილება დოკუმენტირდება. მონაცემთა ბაზებში დაცული საქმისწარმოების დოკუმენტებია:

- ა) სერტიფიკატის მამიებელი პირის განცხადება;
- ბ) ელექტრონული შეტყობინებები პირის კანდიდატად რეგისტრაციის ან კანდიდატად რეგისტრაციაზე უარის შესახებ;
- გ) სერტიფიკაციის საფასურის გადახდის თაობაზე საბანკო დაწესებულების დოკუმენტი;
- დ) კანდიდატთა კომპეტენტურობის შესაფასებელი ტესტური და პრაქტიკული დავალებები;

<p>სსიპ - საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი, თბილისი, ა. პოლიტოვსკაიას 1</p>	<p>სს-01 სსიპ „საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის“ უძრავი ნივთის საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი სამუშაოების შესრულებაზე უფლებამოსილ პირთა სერტიფიკაციის სქემა</p>	<p>გვერდების რაოდენობა: 22 ბრძანება: 28 მაისი 2024 წლის N87/ს გადახედვა: 1 რედაქცია: 1</p>
--	--	--

- ე) კანდიდატის მიერ შესრულებული ტესტური დავალება;
  - ვ) ტესტირების უწყისი;
  - ზ) პრაქტიკული დავალების შესრულებაში გამოცდისათვის კანდიდატის ნაშრომი;
  - თ) ზედამხედველის ოქმი პრაქტიკული დავალების შესრულებაში გამოცდის ჩატარების შესახებ;
  - ი) საგამოცდო კომისიის უწყისი გამოცდის შედეგების შესახებ;
  - კ) სერტიფიკატის მაძიებელი და სხვა დაინტერესებული პირის მიერ შეტანილი აპელაცია და საჩივარი;
  - ლ) გადაწყვეტილებები და პასუხები აპელაციებისა და საჩივრების თაობაზე;
  - მ) სერტიფიკაციის ორგანოს უფროსის გადაწყვეტილებები სერტიფიკატის მინიჭების, შეჩერების, გაუქმების;
  - ნ) საკადასტრო სამუშაოების შესრულებაზე უფლებამოსილი პირის სერტიფიკატის ელექტრონული ასლი;
- 15.3. საქმისწარმოებისას ქაღალდზე შესრულებული და შემოტანილი დოკუმენტების ელექტრონული ასლების არსებობა სავალდებულოა.
- 15.4. განცხადების რეგისტრაციისთანავე იხსნება სერტიფიკატის მაძიებელი/მფლობელი პირის პირადი საქმე, რომელშიც შეიტანება შესაბამისი პირის:
- ა) სარეგისტრაციო მონაცემები;
  - ბ) ტესტირებისას და პრაქტიკული გამოცდისას შესრულებული ნაშრომები და მიღებული შეფასებები;
  - გ) მის მიერ შეტანილი აპელაციები და საჩივრები, მათ თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებები;
  - დ) სერტიფიკაციის ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები სერტიფიკატის მინიჭების, შეჩერების;

<p>სსიპ - საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი, თბილისი, ა. პოლიტოვსკაიას 1</p>	<p>სს-01 სსიპ „საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის“ უძრავი ნივთის საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი სამუშაოების შესრულებაზე უფლებამოსილ პირთა სერტიფიკაციის სქემა</p>	<p>გვერდების რაოდენობა: 22  ბრძანება: 28 მაისი 2024 წლის N87/ს  გადახედვა: 1  რედაქცია: 1</p>
--	--	---

15.5. სერტიფიკატის მაძიებელი/მფლობელი პირის პირადი საქმე იხურება, თუ მას უარი ეთქვა კანდიდატად რეგისტრაციაზე, ტესტირებისას ან გამოცდაზე მიიღო უარყოფითი შეფასება, გაუქმდა მისი სერტიფიკატი.

15.6. სერტიფიკაციის პროცესთან დაკავშირებული დოკუმენტები, მათ შორის სერტიფიკატის მაძიებელი/სერტიფიკატის მფლობელი პირების პირადი საქმეები შენახული და დაცულია სასწავლო ცენტრის მონაცემთა ბაზებში შექმნიდან (მიღებიდან) ან პირადი საქმის დახურვიდან სამი წლის განმავლობაში. მონაცემთა ბაზებში დაცულ იმ დოკუმენტებზე, რომლებიც შეიცავენ პერსონალურ მონაცემებს, პროფესიულ ან/და კომერციულ საიდუმლოებას, მათ შორის - პირად საქმეებზე წვდომა გააჩნიათ მხოლოდ უფლებამოსილ პირებს, საქმისწარმოების პროცესში მათი როლისა და ფუნქციების შესაბამისად.

15.5. სერტიფიკაციის პროცესთან დაკავშირებული საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 თავის მოთხოვნათა შესაბამისად.

15.6. სახელმწიფო ორგანოებს, აგრეთვე სხვა დაინტერესებულ პირებს, მომართვის შემთხვევაში ორი კვირის განმავლობაში უფასოდ მიეწოდებათ ინფორმაცია კონკრეტული ფიზიკური პირის სერტიფიკაციის სტატუსის შესახებ (მინიჭებული აქვს თუ არა სერტიფიკატი, სერტიფიკატის მოქმედება შეუჩერდა, გაუქმდა, ვადა გაუვიდა), ამ პირის პერსონალური მონაცემების გაუხმაურებლად.

## 16. პერსონალური მონაცემების კონფიდენციალობა

სერტიფიკაციის საქმისწარმოების პროცესთან დაკავშირებულ დოკუმენტებში, მათ შორის - პირად საქმეებში არსებული პერსონალური მონაცემების დამუშავება და მათი კონფიდენციალობის დაცვა ხორციელდება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად.

## 17. ტესტური და პრაქტიკული დავალებების კონფიდენციალობა

17.1. კანდიდატთა კომპეტენტურობის შესაფასებელი ტესტური და პრაქტიკული დავალებები განეკუთვნება სერტიფიკაციის ორგანოს კომერციულ საიდუმლობას. გამომცდელები და სერტიფიკაციის პროცესში მონაწილე სხვა პერსონალი, რომლებიც ფლობენ ტესტურ/პრაქტიკული დავალებების ასლებს ან მათ შესახებ ინფორმაციას, ვალდებული არიან დაიცვან მათი კონფიდენციალობა. ტესტური და პრაქტიკული დავალებები ელექტრონული ფაილების სახით ინახება, პროგრამულად არ არის ხელმისაწვდომი (გარდა განსაკუთრებული შემთხვევებისა, როცა ცვლილებები შეიტანება ტესტურ/პრაქტიკულ

<p>სსიპ - საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი, თბილისი, ა. პოლიტოვსკაიას 1</p>	<p>სს-01 სსიპ „საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის“ უძრავი ნივთის საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი სამუშაოების შესრულებაზე უფლებამოსილ პირთა სერტიფიკაციის სქემა</p>	<p>გვერდების რაოდენობა: 22  ბრძანება: 28 მაისი 2024 წლის N87/ს  გადახედვა: 1  რედაქცია: 1</p>
--	--	---

დავალეებში) და დაცულია სასწავლო ცენტრის ელექტრონულ მონაცემთა ბაზებში. მათი გაცნობა დაიშვება მხოლოდ უშუალოდ ტესტირების/პრაქტიკული დავალების შესრულებაში გამოცდის პროცესში. ტესტური და პრაქტიკული დავალებების გამოქვეყნება, მათი ასლების სხვა პირისათვის გადაცემა ან ნებისმიერი სხვა ფორმით გამჟღავნება აკრძალულია და გამოიწვევს კომერციული საიდუმლოების გამჟღავნებისათვის კანონმდებლობით განსაზღვრულ პასუხისმგებლობას.

### თავი III სერტიფიკატის მინიჭების პროცედურები

#### 1. სერტიფიკატის მაძიებელი პირის მიმართ წაყენებული საკვალიფიკაციო მოთხოვნები

სერტიფიკატის მისანიჭებლად სერტიფიკატის მაძიებელი პირის მიმართ წაყენებული საკვალიფიკაციო მოთხოვნებია:

- ა) არანაკლებ 18 წლის ასაკი;
- ბ) ქმედუნარიანობა;
- გ) საქართველოში საცხოვრებელ ადგილას რეგისტრაცია;
- დ) ქართული ენის ცოდნა;
- ე) შესაბამის სპეციალობა (სპეციალობები: საინჟინრო გეოდეზია და გეოინფორმატიკა; გეოგრაფია; სამთო და გეოინჟინერია). თუ განმცხადებლის მიერ წარმოდგენილ განათლების დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებულია ჩამოთვლილთაგან განსხვავებული სახელწოდების, მაგრამ ეკვივალენტური სპეციალობა, განმცხადებელს საშუალება მიეცემა უტყუარი დოკუმენტების წარმოდგენის საფუძველზე დაადასტუროს მისი განათლების შესაბამისობა მოცემულ სპეციალობებთან) ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, ან საკადასტრო სამუშაოების შესრულების არანაკლებ 1 წლიანი გამოცდილება ან საკადასტრო სამუშაოების შესრულებაზე უფლებამოსილი პირის მოსამზადებელი საკვალიფიკაციო სასწავლო კურსის გავლა.

#### 2. სერტიფიკატის მაძიებელი პირისადმი წაყენებული მოთხოვნები კომპეტენტურობის შესაფასებლად

2.1. სერტიფიკატის მისანიჭებლად სერტიფიკატის მაძიებელი პირის მიმართ კომპეტენტურობის შესაფასებლად წაყენებული მოთხოვნებია:



<p>სსიპ - საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი, თბილისი, ა. პოლიტოვსკაიას 1</p>	<p>სს-01 სსიპ „საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის“ უძრავი ნივთის საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი სამუშაოების შესრულებაზე უფლებამოსილ პირთა სერტიფიკაციის სქემა</p>	<p>გვერდების რაოდენობა: 22  ბრძანება: 28 მაისი 2024 წლის N87/ს  გადახედვა: 1  რედაქცია: 1</p>
--	--	---

ა) უძრავ ნივთებზე უფლებების რეგისტრაციის მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმების ცოდნა და პრაქტიკულ საქმიანობაში უძრავ ნივთებზე უფლებების რეგისტრაციასთან დაკავშირებული დოკუმენტების მომზადებისას ამ ცოდნის გამოყენების უნარი;

ბ) გეოდეზია-კარტოგრაფიის თეორიული საფუძვლების ცოდნა და პრაქტიკულ საქმიანობაში საკადასტრო სამუშაოების შესრულებისას ამ ცოდნის გამოყენების უნარი;

გ) გეოინფორმაციული სისტემის თეორიული საფუძვლების ცოდნა და პრაქტიკულ საქმიანობაში უძრავი ნივთის საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი მონაცემების კამერალური დამუშავებისას ამ ცოდნის გამოყენების უნარი;

დ) საკადასტრო სამუშაოების ჩასატარებლად საჭირო პრაქტიკული უნარ-ჩვევები; მაღალი სიზუსტის გეოდეზიური ხელსაწყოების და მეთოდების სავსე გამოყენება, მონაცემების კამერალური დამუშავება და დადგენილი ფორმით სათანადო დოკუმენტების მომზადება.

### **3. კომპეტენტურობის მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მეთოდები და კრიტერიუმები**

3.1. კომპეტენტურობის მოთხოვნებთან შესაბამისობა იზომება და ფასდება სატესტო/საგამოცდო პროგრამის შესაბამისად (იხ.დანართი 1), რომელიც წარმოადგენს ოთხი მოდულის (I. უძრავ ნივთებზე უფლებების რეგისტრაციის მარეგულირებელი სამართლებრივი ბაზა; II. გეოდეზია-კარტოგრაფიის თეორიული საფუძვლები; III. გეოინფორმაციული სისტემის თეორიული საფუძვლები; IV. სავსე-აზომვითი სამუშაოების პრაქტიკა) მიხედვით სატესტო/საგამოცდო თეორიული და პრაქტიკული საკითხების ნუსხას.

3.2. კომპეტენტურობის მოთხოვნებთან შესაბამისობა იზომება და ფასდება ორ ეტაპად: კანდიდატის პროფესიული ცოდნის შესამოწმებლად ტესტირების, ხოლო პროფესიული უნარ-ჩვევების შესამოწმებლად - პრაქტიკული დავალების შესრულებაში გამოცდის მეთოდებით.

3.3. როგორც ტესტირება, ასევე პრაქტიკული დავალების შესრულებაში გამოცდა ფასდება ქულებით. უმაღლესი შეფასებაა - ტესტირებისას 40 ქულა, პრაქტიკული გამოცდისას -100 ქულა, რომელიც კომპეტენტურობის მოთხოვნებთან კანდიდატის ცოდნის/პრაქტიკული უნარ-ჩვევების აბსოლუტური შესაბამისობის (100%-ით შესაბამისობა) მაჩვენებელია.

3.4. როგორც ტესტირების, ასევე პრაქტიკული დავალების შესრულებაში გამოცდის დადებითი შეფასების კრიტერიუმია მინიმალური კომპეტენტურობის ზღვარი, რომელიც უჩვენებს, რომ კანდიდატის ცოდნა/პრაქტიკული უნარ-ჩვევები ძირითადად შეესაბამება კომპეტენტურობის მოთხოვნებს. მინიმალური კომპეტენტურობის ზღვარს ქვემოთ

<p>სსიპ - საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი, თბილისი, ა. პოლიტოვსკაიას 1</p>	<p>სს-01 სსიპ „საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის“ უძრავი ნივთის საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი სამუშაოების შესრულებაზე უფლებამოსილ პირთა სერტიფიკაციის სქემა</p>	<p>გვერდების რაოდენობა: 22  ბრძანება: 28 მაისი 2024 წლის N87/ს  გადახედვა: 1  რედაქცია: 1</p>
--	--	---

მიღებული შეფასება ნიშნავს, რომ კანდიდატის ცოდნა/პრაქტიკული უნარ-ჩვევები არ შეესაბამება კომპეტენტურობის დადგენილ მოთხოვნებს.

#### 4. ტესტირება

4.1. კომპეტენტურობის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების პირველი ეტაპია ტესტირება, რომლის მიზანსაც წარმოადგენს ამ სქემაში მითითებული სატესტო/საგამოცდო პროგრამის შესაბამისად კანდიდატის პროფესიული ცოდნის შემოწმება-შეფასება.

4.2. ტესტირება წესრიგდება სასწავლო ცენტრის მოქმედი „ტესტირების მომსახურების წესის“, საფუძველზე, მათ შორის, ტესტური დავალებების შექმნა და ტესტირების პროცესთან დაკავშირებული საკითხები (იხ.დანართი 2).

4.3. ტესტი შედგება 40 ტესტური დავალებისაგან, რომელთაგან თითოეული ფასდება 1 (ერთი) ქულით.ტესტური დავალებები შედგენილია სატესტო პროგრამის მიხედვით და განაწილებულია შემდეგი პროპორციით: 1. „გეოდეზია-კარტოგრაფიის და ინსტრუმენტმცოდნეობის საფუძვლები” - 40% (16 საკითხი); 2. „გეოინფორმაციული სისტემის საფუძვლები” - 40% (16 საკითხი); 3. „უძრავ ნივთებზე უფლებების რეგისტრაციის მარეგულირებელი ნორმატიული ბაზის საფუძვლები” -20% (8 საკითხი).

4.4. სატესტო დავალება სრულდება 2 საათის ვადაში.

4.5. მინიმალური კომპეტენტურობის ზღვარი შეადგენს სწორად გაცემული პასუხების 70%-ს, ე.ი. დადებითი შეფასებისათვის აუცილებელია 40 დავალებიდან სწორად იქნას პასუხი გაცემული სულ მცირე 28 ტესტურ დავალებაზე.

4.6. ტესტური დავალების ნიმუში მოცემულია დანართებში (იხ. დანართი 3).

#### 5. პრაქტიკული დავალების შესრულებაში გამოცდა

5.1. პრაქტიკული დავალების შესრულებაში გამოცდაზე დაიშვება ის კანდიდატი, რომელმაც ტესტირებისას გადალახა მინიმალური კომპეტენტურობის ზღვარი.

5.2. პრაქტიკული დავალება შედგენილია საგამოცდო პროგრამისა და „მიწის ნაკვეთის საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი სამუშაოს შესრულებისა და დოკუმენტირების წესისა და საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი სამუშაოს საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევით შესრულებისათვის საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი სამუშაოს შესრულების უფლებამოსილების მქონე პირის სერტიფიკატის მოქმედების შეჩერებისა და გაუქმების წესის

<p>სსიპ - საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი, თბილისი, ა. პოლიტოვსკაიას 1</p>	<p>სს-01 სსიპ „საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის“ უძრავი ნივთის საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი სამუშაოების შესრულებაზე უფლებამოსილ პირთა სერტიფიკაციის სქემა</p>	<p>გვერდების რაოდენობა: 22  ბრძანება: 28 მაისი 2024 წლის N87/ს  გადახედვა: 1  რედაქცია: 1</p>
--	--	---

დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 8 აგვისტოს N388 დადგენილების შესაბამისად.

5.3. პრაქტიკული დავალების პირობაა მაღალი სიზუსტის გეოდეზიური ხელსაწყოების დამზადებულ მეთოდების გამოყენებით მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული საკადასტრო ობიექტების აზომვითი სამუშაოების შესრულება, მიღებული მონაცემების კამერალური დამუშავება და აზომვითი დოკუმენტაციის სათანადო გაფორმება. შესრულებული დავალების შესაფასებლად კანდიდატის სამუშაო უნდა შედარდეს შაბლონის (წინასწარ აზომილი ობიექტის აზომვითი მონაცემები და დოკუმენტაცია) აზომვით მონაცემებსა და დოკუმენტაციას.

5.4. დამოუკიდებელი ექსპერტების მიერ თითოეული პრაქტიკული დავალებისათვის წინასწარ შეირჩევა და მოთხოვნილი სტანდარტების მიხედვით აიზომება 2 უძრავი ქონების ობიექტი (შაბლონი). შერჩეული ობიექტები უნდა იყოს თანაბარი სირთულის და უზრუნველყოს ყველა საკადასტრო ელემენტის აზომვის განხორციელების შესაძლებლობა, როგორც არის მიწის ნაკვეთი, შენობა-ნაგებობა, უფლებრივი შეზღუდვის ან/და დატვირთვის საზღვარი (სერვიტუტი), გზა, ხაზოვანი ნაგებობა. პრაქტიკული აზომვითი სამუშაოს შესრულების შემდეგ კანდიდატის მიერ მოხდება საველე აზომვების შედეგად მოგროვებული მონაცემების დამუშავება ArcGIS პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებით და საკადასტრო ნახაზის გამოხაზვა. ნახაზი უნდა შეესაბამებოდეს ნორმატიული აქტით განსაზღვრულ საკადასტრო ნახაზის მოთხოვნებს. მთლიანი პრაქტიკული სამუშაოს (მაქსიმალური შედეგი - 100%) შეფასებისას გათვალისწინებული იქნება თითოეული საკადასტრო ელემენტის პროცენტული წილი, რომელიც შეადგენს: აზომვით მიღებული მონაცემების სიზუსტე (დარდება უკვე აზომილი შაბლონის ობიექტების მონაცემებს) მიწის ნაკვეთი – 25%, შენობა-ნაგებობა – 25%, უფლებრივი შეზღუდვის ან/და დატვირთვის საზღვარი – 5%, გზა – 5%, ხაზოვანი ნაგებობა – 10%, მონაცემების დამუშავება ArcGIS პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებით - 20 % და საკადასტრო რუკის გამოხაზვა – 10 %.

5.5. კანდიდატი დავალებას უძრავი ქონების მითითებით იღებს საგამოცდო კომისიისგან და მითითებული სამუშაო უნდა შეასრულოს საგამოცდო დროის 3 საათის (არ გაითვალისწინება ტრანსპორტირების დრო და სხვა) განმავლობაში.

5.6. პრაქტიკული გამოცდის შესრულებისას, სერტიფიკაციის ორგანოს მხრიდან ტექნიკური ხარვეზის არსებობის შემთხვევაში, კანდიდატს უნდა მიეცეს ხარვეზის გამოსწორებისთვის საჭირო დამატებითი დრო ან/და სერტიფიკაციის ორგანო უფლებამოსილია შეიცვალოს საგამოცდო ობიექტი, ისე რომ კანდიდატს არ შეექმნას გამოცდის ჩაბარებისას შემაფერხებელი გარემოება.

<p>სსიპ - საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი, თბილისი, ა. პოლიტოვსკაიას 1</p>	<p>სს-01 სსიპ „საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის“ უძრავი ნივთის საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი სამუშაოების შესრულებაზე უფლებამოსილ პირთა სერტიფიკაციის სქემა</p>	<p>გვერდების რაოდენობა: 22  ბრძანება: 28 მაისი 2024 წლის N87/ს  გადახედვა: 1  რედაქცია: 1</p>
--	--	---

5.7. პრაქტიკული დავალების შესრულებაში გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი შეადგენს 80%-ს, შესაბამისად - გამოცდის დადებითი შეფასებისათვის აუცილებელია არანაკლებ 80 ქულის მიღება.

## 6. განმეორებითი გამოცდა

კანდიდატს თუ იგი ვერ დააკმაყოფილებს კონკრეტული ეტაპისთვის დადგენილ მინიმალური კომპეტენტურობის ზღვარს, აქვს უფლება როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ ნაწილში ჩააბაროს დამატებით კიდევ 1 განმეორებითი გამოცდა ყოველგვარი საფასურის გადახდის გარეშე.

## 7. სერტიფიკატის ვადა

პირს, რომელიც წარმატებით გაივლის ტესტირებასა და პრაქტიკული დავალების შესრულებაში გამოცდას (გადალახავს მინიმალური კომპეტენციების ზღვარს) მიენიჭება საკადასტრო სამუშაოების შესრულებაზე უფლებამოსილი პირის სერტიფიკატი. სერტიფიკატის მოქმედების ვადაა 2 წელი.

## 8. რესერტიფიკაცია

8.1. იმ შემთხვევაში, თუ სერტიფიკატის მოქმედების პერიოდში მნიშვნელოვნად შეიცვალა უძრავ ნივთებზე უფლებების რეგისტრაციის მარეგულირებელი კანონმდებლობა, ან/და აზომვითი სამუშაოების წარმოების ტექნოლოგია, რამაც გამოიწვია არსებითი ხასიათის ცვლილებები სერტიფიკატის მამიებელი პირის საკვალიფიკაციო ან/და კომპეტენტურობის მოთხოვნებში და რესერტიფიკაციის აუცილებლობა პირდაპირ განსაზღვრა საკანონმდებლო აქტმა, სერტიფიკატის მქონე პირისათვის სავალდებულოა რესერტიფიკაცია (სერტიფიკატის ხელახლა მიენიჭება).

8.2. სერტიფიკატის მამიებელი პირის საკვალიფიკაციო ან/და კომპეტენტურობის მოთხოვნებში ცვლილებების შეტანა იწვევს სატესტო/საგამოცდო პროგრამის ცვლილებებს.

8.3. თუ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი, რესერტიფიკაცია ხორციელდება ახალი საკვალიფიკაციო ან/და კომპეტენტურობის მოთხოვნებისა და სატესტო/საგამოცდო პროგრამის შესაბამისად, იგივე სერტიფიკაციის სქემით და წესებით.

## 9. სერტიფიკატის მფლობელი პირის მიმართ მოთხოვნები

9.1. სერტიფიკატის მფლობელი პირი ვალდებულია:

ა) უძრავი ნივთის საკადასტრო/აზომვითი სამუშაოები შეასრულოს უშუალოდ, ხარისხიანად, მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა და პროფესიული სტანდარტების დაცვით;

ბ) არ დაუშვას მისი სერტიფიკატის არაჯეროვანი გამოყენება, მათ შორის არასერტიფიცირებული პირის მიერ შესრულებულ სამუშაოზე რაიმე ფორმით პასუხისმგებლობის აღება;

<p>სსიპ - საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი, თბილისი, ა. პოლიტოვსკაიას 1</p>	<p>სს-01 სსიპ „საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის“ უძრავი ნივთის საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი სამუშაოების შესრულებაზე უფლებამოსილ პირთა სერტიფიკაციის სქემა</p>	<p>გვერდების რაოდენობა: 22  ბრძანება: 28 მაისი 2024 წლის N87/ს  გადახედვა: 1  რედაქცია: 1</p>
--	--	---

გ) შეაჩეროს ან შეწყვიტოს მიწის ნაკვეთის საკადასტრო სამუშაოების წარმოება, თუ სერტიფიკაციის ორგანოს - ტესტირების კოორდინაციისა და სერტიფიკაციის დეპარტამენტის გადაწყვეტილების საფუძველზე შესაბამისად შეუჩერდა ან გაუუქმდა სერტიფიკატი;

დ) დაუყოვნებლივ აცნობოს სერტიფიკაციის ორგანოს იმ საკითხების თაობაზე, რომლებმაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს პირის უნარზე, დააკმაყოფილოს სერტიფიკაციის მოთხოვნები.

9.2. სერტიფიკატის მფლობელი პირის მიმართ განსაზღვრულ მოთხოვნათა შეუსრულებლობა გამოიწვევს მისი სერტიფიკატის შეჩერებას ან გაუქმებას.

9.3. სერტიფიცირებული პირი მითითებული ვალდებულებების შესრულების თაობაზე სერტიფიკაციის ორგანოსთან შესაბამის ხელშეკრულებას დებს მისთვის სერტიფიკატის გადაცემასთან ერთად.

**10. სერტიფიკატის შეჩერება და/ან გაუქმება**

10.1. სერტიფიკატის შეჩერებისა და/ან გაუქმების საფუძვლები განსაზღვრულია შესაბამისი ნორმატიული აქტით.

10.2. სერტიფიკატის შეჩერებისა და/ან გაუქმების შესახებ სერტიფიკაციის ორგანოს ტესტირების კოორდინაციისა და სერტიფიკაციის დეპარტამენტის გადაწყვეტილების მიღების პროცედურა განისაზღვრება ამ სქემის შესაბამისად.

**თავი IV სერტიფიკატის მფლობელის ვალდებულებები**

**1. სერტიფიკატის მფლობელი პირი ვალდებულია:**

1.1. უძრავი ნივთის საკადასტრო სამუშაოები შეასრულოს უშუალოდ, ხარისხიანად, მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა და პროფესიული სტანდარტების დაცვით;

1.2. არ დაუშვას მისი სერტიფიკატის არაჯეროვანი გამოყენება, მათ შორის არასერტიფიცირებული პირის მიერ შესრულებულ სამუშაოზე რაიმე ფორმით პასუხისმგებლობის აღება;

1.3. შეაჩეროს ან შეწყვიტოს მიწის ნაკვეთის საკადასტრო სამუშაოების წარმოება, თუ სერტიფიკაციის ორგანოს გადაწყვეტილების შესაბამისად შეჩერდა ან გაუქმდა მისი სერტიფიკატი;

<p>სსიპ - საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი, თბილისი, ა. პოლიტკოვსკაიას 1</p>	<p>სს-01 სსიპ „საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის“ უძრავი ნივთის საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი სამუშაოების შესრულებაზე უფლებამოსილ პირთა სერტიფიკაციის სქემა</p>	<p>გვერდების რაოდენობა: 22 ბრძანება: 28 მაისი 2024 წლის N87/ს გადახედვა: 1 რედაქცია: 1</p>
---	--	--

2. სერტიფიკატის მფლობელი პირის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნათა შეუსრულებლობა გამოიწვევს მისი სერტიფიკატის შეჩერებას ან გაუქმებას.